ოქმი №9

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 25 აპრილი

ოქმი №9

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2023 წლის 25 აპრილი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, ტ. ხოშტარია, გ. კუცია და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

   მომხს. გ. ხოშტარია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

   მომხს: ტ. ხოშტარია

1

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ტ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ (ტ. ხოშტარია).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: გ. კუციამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ (გ. კუცია)
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

მომხს. ტ. ხოშტარია

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განხორციელდა ცვლილება. 2023 წლის 11 აპრილს, აღნიშნულ ფრაქციაში გაერთიანდნენ დეპუტატები ნაციონალური მოძრაობის პარტიიდან კახა ცანავა, ქეთევან ლობჟანიძე და ლეიბორისტული პარტიიდან გელა ლაბარტყავა, რომლებიც ფრაქციაში არ იყვნენ გაერთიანებული. ამჯერად საკრებულოს ყველა დეპუტატი გაერთიანებულია ფრაქციაში. ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-წევრთა შესვლით განხორციელებული ცვლილება გავლენას ახდენს ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები, რასაც წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო. საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები თანდართული რედაქციით.

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ფრაქცია ,, აბაშა საქართველოსთვის“
1	იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	7	3	1
2	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	7	3	1
3	აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია	7	3	1
4	ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისია	7	3	1
5	სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისია	7	3	1

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია